

ლუკა ფოცხიშვილი

University of Valladolid, Spain

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„ვალადოლიდში ცხოვრება და სწავლა შეუდარებელი გამოცდილებაა. ვფიქრობ, რომ აქ მიღებული ცოდნა არა მარტო კარიერული წინსვლის დასაბამია, არამედ პიროვნული განვითარებისაც. წინასწარ რთული ჩანდა დამოუკიდებლად ცხოვრება 5 თვის განმავლობაში, მაგრამ უნივერსიტეტს ისეთი ატმოსფერო აქვს, რომ ადაპტირება მაქსიმალურად მარტივი ხდება. ჩემი აზრით, ერაზმუსის პროგრამაში მონაწილეობა ისეთი გამოცდილებაა, რომელიც გარკვეულ ეტაპზე ყველა პერსპექტიულმა და ამბიციურმა სტუდენტმა უნდა მიიღოს, რადგან პროექტის შემდეგ ფაქტიურად უფრო მიზანსწრაფული, შრომისმოყვარე, დამოუკიდებელი და ენერგიული უბრუნდები სამშობლოს.“